# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 543

დამატების № 97

კვირა, 3 აპრილი 1916 წ.




**დიდებული წინასწარმეტყველის მუჰამადის ნივთები.**

1. კბილის საწმენდი. 2. სავარცხელი. 3. სალოცავი ხალიჩა. 4. ყურანი. 5. ყავარჯენი. 6. წამოსასხამი. 7. კრიალოსანი. 8. ჰილობი და სურა. 9. ქოშები.

## ბნელ ღამეში

რა უნდა ჩემგან?

არავინ ნათესავი არა მყავს. ვგონებ ზღვას მოვსწყდი და ცულად უნდა გავატარო უფერული ცივი დღეებ: არავის ვუნდივარ, არსად არის სულის მეგობარი, გრძნობის ნავთსადგური.

ვდგები და ვწვები, ვოცნებობ და დავდივარ მუდამ მარტო. ჩემი ენა არავის ესმის, არც ერთი სახე ღრმად არ ჩამრჩენია გულში. მუდამ ობლად ვარ.

მაშ, რა უნდა ჩემგან ამ ჭაღარა, გაძვალტყავებულ დედაკაცს?

რა საშინელი შიშის ფიქრები მიტაცებს ხანდისხან. თითქოს, აი ის, ის ერთად-ერთი, ვისაც უსიტყვოდ ესმოდა ჩემი ზრახვანი, ვისაც ვუყვარდი და დავავიწყდი, თითქოს ისიც აღარ არის. და აი, მასაც თეთრად მოსავენ და სადად მორთულ კუბოში სდებენ.

და სწორედ ამ დროს ეს მოხუცი დედაკაცი ჩამოივლის ჩემს ფანჯარასთან, წუთით მომაშტერებს ცრემლებით ამომწვარ, ღრმა თვალებს და ნელის ნაბიჯით გზას გაუდგება.

მაღალი, გამხდარი, მუდამ შავს სამოსელში აჩრდილივით ნელა ირხევა დაბინდებისას.

საოცარია მისი სახე: გრძელი, ხშირი წარბები, მაღალი ოდნავ მოხრილი ცხვირი და ფართე ხშირის ღარებით დასერილი შუბლი, მოწვართული, თხელი ტუჩები, რომლებიც თითქოს არასოდეს გახსნილა სალაპარაკოდ.

მუდამ სდუმს ეს საოცარი არსება, მაგრამ ასე მგონია განუწყვეტლივ რაღაცას დაეძებს, ჩურჩულებს მუდამ. ან შეიძლება ლოცვებს თუ ამბობს?

მოხუცებს ხომ აგრე რიგად უყვართ ლოცვები.

მაგრამ არა... მისი მრისხანე სახე და შეყრილი წარბები ლოცვითი ლმობას იერ დაიტევენ.

ვინ არის? რა უნდა?

ვიტანჯები...

მაგრამ რა ხდება ჩემს გულში!.. მე მინდა მუდამ ვუცქირო ამ საშინელ არსებას. უმისოდ გული მიწყალდება და როცა ახლოს ჩამივლის შიშით ვცახცახებ. მინდა მარტო ერთხელ მაინც გამიღიმოს, შუბლი გამიხსნა!, მაგრამ არა, იგი მტკიცეა.



დიდებული წინასწარმეტყველის მუჰმადის სახლი.

ან იქნებ მოძრავი ქანდაკებაა, მაგრამ ვშიშობ ხელი შევახო.

და ასე მიდიან დღეები.

ბნელ ღამეში მარტო ვზივარ და ვფიქრობ ჩემს ობლობაზე. სიჩუმე გულზე მაწევს. ჭაღარა დედაკაცი ფანჯარას მოადგება და ერთს შემოიჭვრეტს.

რა ვქნა? იქნება უბინაოა, უჭირს, შიან?

ფრთხილად ფანჯარას ვაღებ, მაგრამ იგი შორს არის, ნელად და მტკიცედ მიდის წინ, ულრან ტყისაკენ.

— შემოდი, გათბი, დაისვენე!

მაგრამ მას ჩემი არ ესმის, მიდის.

რა უნდა იქ? იმ ულრან ტყეში საშინელი მხეცებია, შიგ შესვლას ვერვინ ბედავს კარგა ხანია. მაღალ ხეებს ტოტები ძირს დაუყრია, პაწია ბილიკი ეკალ-ნარით შემოსილა.

ან ვის რა საქმე აქვს ამ მხეცთა სამეფოში? აქ ასე თბილა, ასეთი სიწყნარე და უშიშრობაა.

რავქნა? არ ესმის ჩემი?

მაშ, რა უნდა ჩემგან?

ვიტანჯები...

სად მინახავს ეს ადამიანი? რაღაც საშინლად ახლობელი და ნაცნობია მის გამოხედვაში, მის დუმილში. მას რომ ჩემი სიტყვა ესმოდეს, მიმიხვდებოდა ყოველივეს. ასე მგონია ჩემი მწუხარება დააქვს თან იმ ტყეში. ღამით ქურდივით მოადგება ჩემს ფანჯარას და წაიღებს ჩემს იდუმალებით ტანჯვას. მქურდავს ყოველდღე, მაგრამ მაინც ვერ ვბედავ გულში მისი საყვედური გავატარო. იქნება მისია ჩემი ტანჯვაც...

მაშ რა უნდა ჩემგან?

ან ნუ თუ არ შეიძლება ერთის წუთით მოასვენოს მუხლი ჩემ ჭერ ქვეშ? რად არის ასე გარეული, რომ არავისთან ფეხსაც არ შესდგამს.

საბრალო, რა რიგად მოტყდა. ოდნავ მოიხარა, მაგრამ მის სიარულს კიდევ ძველი სიმტკიცე ახლავს.

მუდამ დადის და მუდამ ეძიებს. რას? ვის?

ნეტავი რას ჩურჩულებს? არავისი ესმის, არავინ უნდა.

ვიტანჯები საშინლად...

ისევ ტყისაკენ მიეჩქარება.

—

ბნელ ღამეში. ფანჯრის ნასვრეტებში ქარი მოძვრება და სანთელს მიქრობს; ვანთებ, კვლავ მიქრობს. საშინლად ბნელა და ქარი კი სულ მატულობს. რა ამბავია? ღმერთო!..

ეს საშინელი განსაცდელია. ქარი ყველაფერს ჰგლეჯს. არავის ახსოვს მისი ასეთი ძალა. რა მოხდა?

ოხ, როგორ მატულობს..

საშინელი შიში მიპყრობს. ლამის არის ჭერი თავზე დამემსხვრეს. ტკაც! გაისმის და ვამჩნევ რაღაც ირღვევა, სკდება.

ფანჯრები ჩაილეწა... კიდევ უფრო ქრის.

მიშველეთ...

— გამოდი, გაისრისები!

შემომესმა სიბნელეში.

რავქნა? ვინ არის? დამიხსენით.

— გარეთ! და მეც გიჟივით გამოვრბივარ.

საშინელი კივილი გაისმის ირგვლივ... ყველაფერი აწიოკდა, აოხრდა, იმსხვრევა, ილეწება სახლები, ხეები. შორს ტყეში ხეები სკდება.

აუ, მიშველეთ... ან იქნებ ეს საშინელი სიზმარია, ღმერთო, სად არის სახსნელი?

ქარი კი მატულობს და ღმუილით ასკდება ყოველივეს. ვინ გადურჩება ამ საშინელ განსაცდელს!?

ჩემთან არავინ არის. მაშ ვინ დამიხსნა? ვინ გამომიძახა გარედ? ეს ხომ მისი ხმა უნდა ყოფილიყო. ისევე მტკიცე და მკვეთრი, როგორც მისი ნაბიჯია. სად ხარ? ნუ დამტოვებ...

და აი, ისიც მიდის ძველებურად მტკიცედ შავს სამოსელში მორთული, იჩქარის ტყისაკენ.

— დაგედევნო უკან?

რა ვქნა, არ ესმის.

— გამიგონე, დამიცადე წუთით, ნუ მტოვებ მარტო ამ სიბნელეში, ქარი მიწას მომაყრის და ცოცხლად დამასამარებს, ჩემი ბინა უკვე დაიმსხვრა და მის ნაფლეთებს ქარი დააქროლებს. გული არა გაქვს?..

მოვდივარ. დამიცადე.

მაგრამ მას არ ესმის. ხმას არ მცემს და მე კი მგონია, რომ მას მივყევარ, მგონია მიმიძღვება, სცდილობს მიხსნას.

თითქოს მესმის მისი ჩურჩული. აი, მოიხედა კიდეც, მაგრამ ხმას მაინც არ იღებს.

# ძველი საქართველო




დანგრეული დაბის აღდგენა (ბ. თამარაშვილის კოლექციიდან).

# საერთაშორისო ომი



**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ტყვე ოსმალების გადმოყვანა აზრუმის ბრძოლის შემდეგ.

სდუმს, მაგრამ იცის, რომ მე მას მივყვები, მის ნაკვალევს მივდევ. არ დამკარგავს.

როგორ დამიმონა ასე უსიტყვოდ, ანდამატისებრ მიმიზიდა. ვინ არის?.. მომცემს ბინას, მომისვენებს? მაგრამ თვითონაც ხომ უსახლკარო, ეულია?

— მეშინია, მანდ ტყეა, მხეცები დაძრწიან, ნუ ლა მიგყევარ...

გადმომხედა და სიბნელეში ცეცხლისებრ დაკვესა მისმა თვალებმა. ალბად სიმხდალემ გააბრაზა. მაგრამ რავქნა... გამიგონე, მე უძლური ვარ. მაინც ვერ ვშორდები. ეხლა სადღა წავიდე? მივდევ მის შავ აჩრდილს და ჩემს სახეს ეკალი სერავს, სისხლი მდის... ღმერთო, მომეცი ძალა.

მივდივართ, მივდივართ მთელი საათები და მას კი დაღალვა არ ემჩნევა.

შორს, ცის დასავალს პაწია სინათლე კიაფობს.

იქნებ იქ არის ნავთსადგური, მაგრამ მე მუხლები მეკვეთება. ძალა აღარ არის.

— ნუღარ მაწამებ, დამასვენე წუთით.

არა, არ ესმის და უფრო მეტის გაჩქარებით მიიწევს, თითქოს ეშინია არ გადვიფიქრო და უკან არ გავბრუნდე სოფლად.

სად უნდა წავიდე, ჩემი ბინა ქარმა გააცამტვერა, აი, სულ ახლო სჩანს სინათლე, მივედით კიდეც... ღმერთო, რა ბედნიერი ვარ... სადმე ხის ძირას ჩამოვჯდები, მივეგდები და ტკბილად მივიძინებ დაქანცული... მგონებ მთელი დღეები ვიძინო.

მაგრამ ეს რა საოცარი სურათი იშლება.

ამ ულრან ტყეში მშვენიერი სრა-სასახლეები, მჭიდრო მასალით მტკიცედ ნაგები...

— სად მომიყვანე? აქ ვინ ცხოვრობს?

მაგრამ მას ძველებურად არ ესმის ჩემი. ანდამატისებრ მიზიდავს ისევ.

კარს აღებს და მეც თან მივყვები.

ღმერთო!.. როგორ უცხოა ყველაფერი ამ ძველებურ სასახლეში. სადღაც ზღაპრად მსმენია. ყველაფერი ხალიჩებით მოფენილია. ძველთა-ძველი ხატება და გასაოცარი ჩუქურთმა თვალს მჭრის.

აი, კედელზე ძველებური ხმალი. სად მინახავს ყველა ეს? სადღაც თითქოს მომხმანეია.

მაგრამ ეს ხმალი ხომ პაპა-ჩემის არის?

აქ ვინ მოიტანა?.. და მე მისკენ ხელი წავიღე. ჭაღარა დედაკაცი დიდხანს განცვიფრებით მომჩერებია და...

პირველად მისი სახე საუცხოვო ნათელით გაბრწყინდა, ნაოჭები გაიხსნა და მას აშკარა ღიმილი დაეტყო.

რა ბედნიერი ვარ... შენთან. ვინა ხარ?

ოხ, რა ნათესაური ელვარება ღფრქვევა მაგ თვალებით. რა ახლოს ხარ ჩემს სულთან... შენ, ვინაც მაჩვენე ნავთსადგური ამ ტანჯვის და განცდის ღამეში.

— შვილო!.. ჩემო შვილო!..

და გრძელის, ღონიერის მკლავებით მიკრავს გულში მოხუცი. სული მეკმევა...

რაღაც საზღაპრო ჩურჩული გაისმის ყურში და ჩემს კისერზე მხურვალე ცრემლები იმსხვრევა.

რა ვქნა? მინდა ვიყვირო, ვსთქვა, მაგრამ თავი ვერ ამიშვია, სული ვერ მომითქვამს.

— დედა!

რა ძვირფასია ეს სიტყვა.

სად მყავდი ამდენ ხანს, რად, რად სდუმდი და მტანჯავდი? შენ ხომ ჩემი დედა ხარ და მე შენი ღვიძლი. ღმერთო, რა ნეტარების ღამეა... გამიგონეთ, მე ობოლი აღარ ვარ, მე შვილი ვარ, ამაყის დედისა, სხვის კარზე აღზრდილი.

ვერ ჩაჰკლეს გრძნობა და ჩვენ მაინც ვნახეთ ერთმანეთი.

— დედა, დედა!..

— შვილო, შენ დღეს შენს კერას აღგეხარ და პაპა-შენის ხმალი ხელთ გიპყრია.

— მაკოცე დედა! დედა, ნუ დამტოვებ.

— მე მოგისვენებ, მოგიშუშებ წყლულებს, მოგბან იარებს და გეტყვი შენს წარსულს, მე გეტყვი მშობლიურ ნანას, რომელიც შენ არასოდეს გსმენია. ტანჯულო!..

— როგორ დავტოვე ასეთი ბინა, ჩემი კერა და სხვას შევეხიზნე? რად იყავ ასე ამაყი, რომ ერთხელაც არ შემოდგი ფეხი, ობოლს მტანჯავდი?

— საკუთარ სახლში, შენს ოჯახში გელოდი.

— უსაზღვროა შენი მოთმინება, დედა!.. ამაყო, დედა!.. ტანჯვის წუთებმა შეგვყარა საკუთარ კერასთან..

კარებს სცემენ, ეს ჩემი ძმები მოდიან, ჩემებრ დაბნეულნი ცხოვარნი. ამ ბნელ ღამეში საკუთარ ოჯახს მოადგნენ. დაემსხვრათ ბინა, დროის სადგური სასტიკმა ქარმა გააცამტვერა.

მოდიან ძმები, შენი შვილები შენს ოჯახში იკრიბებიან.

მხნედ!.. დღეს ლხინია დედა.

ამ ბნელ ღამეში მოვსძებნეთ ჩვენი კერა. რა სუფთად, წმინდად დაგიცავს ყოველივე, ბოროტი ხელი არ შეხებია ჩვენს მტკიცე სადგომს. ასის წლობით გილესია ჩვენთვის ხმლები და ფარჩის საბნები გიკერავს. რა უხვად არის ჩვენს ძველს ოჯახში ყოველივე... აწ მოისვენე, შენი შვილები გარს გეხვევიან და განაგრძობენ შენს წმინდა საქმეს.

მოდიან, კარს სცემენ... მაშ ჩქარა, დედა. ნადიმი... ახალ ცხოვრებას იწყებენ შენი შვილები.

— შვილო!..

**აკაკი პაპავა.**

# მოლიპულ მზაზე

**მატილდა სერაოსი.**

იმისი მამა ჟურნალისტია, დედა—უცხო ენათა მასწავლებელი. ბიჭუნია რვა წლისაა, მაგრამ თორმეტისა გეგონებათ, წარმოიდგენთ იმ უცნაურ რამეებს, რაც იმან იცის, იმ პასუხებს, რასაც იმისაგან გაიგონებთ. ის ვენეციაში ყოფილა უკვე, ფლორენციაში, ნეაპოლში და რომ წამოიზრდება, აღარაფერი ექნება ახალი სანახავი, ახალი თვალის მომჭრელი რამ: აი, მხრებს იწევს ზევით, როცა ვეზუვზე ელაპარაკებიან ან და „გონდოლაზე“. ყველა სასტუმროში უცხოვრია, პირველხარისხოვანიდან მოყოლებული, სადაც მას ემსახურებოდნენ, როგორც პატარა მეფისწულს, ის კი ერთობოდა და ყოველს წუთს ელექტრონის ზარს აწკრიალებდა, ცივ, მოუწყობელ, უხალიჩო, ვიწრო, ხმელ საწოლიან მეოთხე ხარისხის სასტუმრომდე. იმ ბავშვს ყველა „რესტორანში“ უსადილნია, იცის ყველა საჭმელის და სურნელოვან შესაზავებლის გემო: იცის, როგორ უნდა დაუძახოს ლაქიას და შეუკვეთოს პამიდორის წვნიანი მოხრაკული ხბოს ხორცი, ან და ზღვის კიბოს „მაიონეზი“. ვიდრე შევიდოდნენ, მამას ეუბნება: „მამილო, თუ ფული გაქვს, გარეული ქათამი მინდა სოკოთი მოხრაკული“. და მამაც უკვეთავს მისთვის გარეულ ქათამს



პორუჩ. იონა კარტოზია (მოკლულია).



ვოლნოოპრ. ბიქტორ დეკანოსიძე (სახად. გარდაიცვალა).



ანტონ ქითავა (მოკლულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკოთი, მეორე დღეს კი შინ ხელდახელ მიირთმევენ სადილად მოხრაკულ ცხვრის ხორცს, კართოფილით უხვად შეზავებულს.

ის ბავშვი ყველა თეატრშიცა ყოფილა, მოუსმენია „აიდა“, „ლოენგრინი“, „ფაუსტი“ და „პოლიევქტი“. „აიდა“ მოსწონს, იმიტომ, რომ შიგ პატარა ზანგებია, „ფაუსტი“—წითელ ეშმაკის გამო, „ითმენს“, „ლოენგრის“ გედის მეოხებით მაგრამ სძაგს „პოლიევქტი“, რადგან იმაში ამგვარი—რამ არაფერია. იმ ბიჭუნას ჰყავს თავისი საყვარელი ქალნი-მსახიობნი, დანარჩენთ ყურს არ ათხოვებს.

დრამა მას უფრო მოსწონს, ვიდრე ოპერა, მაგრამ დრამაზეც ესწრება მსახიობ ქალთა გამო. ანტრაქტების დროს მამას მიჰყავს ბიჭუნა სცენის უკან, კულისებში და ის იცნობს და ჰმეგობრობს ცნობილ მარინის და თეხეროს, რომელნიც იმასა ჰკოცნიან. ქ მეფი მას კამფეტებს აძლევს, პეთრობონი კი უყვარდა ვიდეც. ის ბავშვი, რომელსაც ღამის თორმეტ საათზეც არ ეძინება; რომელიც, როცა შინა რჩება, მოახლე ამაოდა სცდილობს ზღაპრით გაართოს. ბავშვი პინჭყლიანობს, უძილობა სჭირს. გაზეთების კითხვა ისწავლა და მამის ფსევდონიმები იცის. ჯერ წერა კარგად არ იცის, მაგრამ ახერხებს პატარ-პატარა საგაზეთო ამბების შედგენას. მას მუდამ კუჭი სტკივა, რადგან სადილობენ ხან პირველ საათზე, ხან საღამოს რვაზე; ხან „ბორდოსა“ სვამენ, ხან დაძმარებულ ღვინოს. იცის, როგორ მოიცილოს თავიდან და კუკუ ამოუშიროს მეზობელ ამხანაგს და სწავლობს, როგორ გაიცურონ მოვალენი. ერთხელ უკვე დაესწრო იმ ამბავს, ქონებას რომ უწერავდნენ იმათ, გაფითრებული დედა მდუღარებას აბნევდა და მამა კი სადღაც გაჰქრა. ორჯ-სამჯერ მამამ იგი მიიხუტა გულზე, ძლიერ დაარიგა—ჭკვიანი იყავი და დედა არ გააჯავრო-თქო და ერთ ამგვარ ამბის შემდეგ მოიყვანეს ის გონება-დაკარგული, სისხლში გასვრილი, ტყვიით ხელ-მოჩენჩხლი. ავადმყოფობის დროს ნაირ-ნაირი სადილი ლარა ჰქონდათ, არც გასეირნება, თეატრი, არამედ სულ თანდათანი სილოტაკე, გახელებული მოვალენი, დაუძლურებული დედა, მამა—გაბრაზებული და ჩამოპირქუშული. და ბოლოს, იმ ბავშვმა იცის მამის ურწმუნოება, სკეპტიციზმი, გაუგონია ბევრი სახუმარო ამბები სიყვარულზე, სამშობლოზე, ზნეობაზე, და ერთხელ დაღონებული მითხრა:

— სულ კი ის არის, მოახერხო და ტყვია იხალო შუბლში.

*

ის პირველ-ხარისხოვან სასტუმროს მდიდარი მეპატრონის ერთად-ერთი გოგონაა. დედა არა ჰყავს. მამას უყვარს ძლიერ, გაგიჟებით. მიაბარა მთავარ მოახლეს, რომელიც დაათრევს მას ყველგან—სამზარეულოში, სარდაფში, სახურავში, ოთახ-ოთახ, სასტუმროს დარბაზში—ყველგან, ყველგან ერთად არიან. გოგონა—ათი წლისა—სცხოვრობს ამ ჟრიამულში, ფარი-ფურში, სულ ახალ-ახალ ხალხში. თავისი ოთახი აქვს მას, პატარა, ვით კოლოფი, აქვს პატარა კაბინეთიც და როიალიც, მაგრამ თუ ბევრი სტუმარი მოდის, იმის ოთახებსაც უთმობენ და გოგონა მოახლესთან ერთად გადადის ოთახიდან ოთახში და სძინავს ორივეს, ვით ბანაკში, ხან აქ, ხან იქ, პირველ სართულიდან მეხუთემდე მოყოლებული.

გოგონა იძულებულია მუსიკის გაკვეთილი როიალზე საათის მთელი ჩარექი საერთო დარბაზში ისწავლოს ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ჟრიჟინის დროს. სტუმრები მას ელაპარაკებიან, ელიმიან, ჰკოცნიან და ისიც შეეჩვია ამ ალერსს, არა სწყინდება; ისწავლა უხემლიედ გალიმება, რევერანსი და წარმოთქმა:

„J'aime beaucoup la France, monsieur“.

ყველა ეს უცხო ხალხი, განუწყვეტლივ რომ მოდიოდა და მიდიოდა, ფუსფუსებდა, ირეოდა, ვით კალეიდოსკოპში. გოგონამ ისწავლა როგორ გაეცილებინა სტუმრები კარებამდე, როგორ გაეგზავნა მათთვის ჰაერში კოცნა. რომ გააცილებდა, მერმე უცებ მხრებს აიწევდა. ვინ იყო, საიდან, სად მიდიოდა? იცის გოგონამ საერთო სუფრაზე ჯდომა, სალფეთქის დაკეცვა, იცის როგორ უთხრას უარი საჭმელზე. იცის მზარეულის ყოველგვარი ხრიკი: იცის, როგორ აკეთებს „კატლეტს“ და ძვალს ჩაურჭობს ხოლმე, ერთ და იმავე ერბოს როგორა ხმარობს სამჯერ, დარჩენილ ხორციდან ქადას როგორ აკეთებს, მოხარშული ხორცი, მეოთხე დღეს წვნიან „კატლეტად“ როგორ იქცევა ხოლმე, იცის, როგორ აკეთებს სახამებელისაგან „ბლანმანჟეს“, ყაირათიან ქადას წაბლისაგან. გოგონას ეღიმება მოგზაურთა მონდობილობაზე. არჩევს, ლაქიები როგორ სხვა და სხვაგვარად ექცევიან მოხუც კნეინას თავის ამალიანად, ახლად ჯვარ-გადაწერილ მდიდარ, ბედნიერ ცოლ-ქმარს, გალატაკებულ ბანკირს და მოლაყბე—დეპუტატს. ეჯავრება ღარიბები, მეოთხე სართულის ოთახს რომა აზოულობენ, ეზოსკენ რომ აქვს ფანჯარა, საერთო სუფრაზე არა სხდებიან, ყავას არა სმენ სასტუმროში და მაფრაშით ბლომად მოაქვთ სანთელი, რომ სასტუმროსი არ დახარჯონ, რადგან სანთელი ერთი ფრანკი ღირს. ბევრ რამესა ჰხედავს და ესმის გოგონას ნახევრად შეღებულ კარებებიდან, როცა ტალანში ჩაივლის ხოლმე. როცა უცებ შევა „სალონში“ სადილ შემდეგ ან ღამე, ჰხედავს ოთახების არეულ-დარეულობას, მანდილოსნებს ღამის ჯუბაში გამოწყობილთ, თმას რომ ივარცხნიან; ჟილეტიან კაცებს ულვაშებს რომ ილებავენ, ლაქიებს, ჩუმ-ჩუმად რომა ჰკოცნიან მოახლე გოგოებს, ქალებს, ხელი-ხელ გაყრილი რომ დაბრძანდებიან (კოცნალ, მკვირცხლ ყმაწვილებთან და ხელში უდნებიან, ესმის კარებების ჭრიალი, მზერს ოთახები რომ აპრევიათ მდგმურებს, მზერს ვილაცებს, ტალანში რომ გაისრიალებენ ხოლმე უცებ, ესმის ხმა-დაბალი ლაპარაკი, ჩურჩული. ის თვალს ძირსა ჰხრის, ოდნავ ფერი მისდის და ილიმება. ოჯახში მამისა, ბიძისა და ნათესავებ შორის ესმის ტლანქი ლაპარაკი ფულზე, ესმის, როგორ ადგენენ გეგმებს რაც შეიძლება მეტი როგორმე შეიძინონ, ესმის, სასტუმროს პატრონს იმის მამას, როგორა სძაგს, ეზიზღება მოგზაურნი. ყველაზე ძლიერ კი ათ წელიწადში ის ორმა რამემ გააკვირვა: ახსოვს დიდი ვილაც მანდილოსანი, ქერა და ლამაზი, სამ თვეს რომა სცხოვრობდა სასტუმროში. მარჯვნივ, მარცხნივ აბნევდა დაუზოგველად, მთელს რომს იღებდა თავისთან. ყოველს წუთს ლაქიებს უძახოდა და არას დროს კი რიგზე არ უსწორდებოდა. დაბოლოს, ხარჯი გაასწორა, მაგრამ რალაცა უცნაური წესით. მამა იმაზე გაცეცხლებული იყო. მაგრამ იმ ქალმა იმას დუძახა, თავისთანა ჰყავდა შუადღემდე და მერმე გამოუშვა. მამა ისე ილიმებოდა კმაყოფილი! მეორე: ის გამხდარი, ჩამოყვითლებული კაცი, სულ რალაც ნახევარ დღე რომ იყო სასტუმროში. ორი ჭიქა წყალი დალია, არავისთვის ხმა არ გაუცია და დღის თორმეტ საათზე კი ძარღვები გადაიჭრა და თავი მოიკლა.

*

რომ არავინ არაფერი სთქვა', ცოლ-ქმარი ერთ და იმავე სახლში სცხოვრობს, ნამდვილად კი სცხოვრობენ ცალ-ცალკე: ცოლი ქვემო სართულში სცხოვრობს, ქმარი—მეორე სართულში, იმათი ბიჭუნა—მესამეში. ისინი ერთადა სადილობენ, მაგრამ სადილზე დედა წიგნსა კითხულობს, მამა—გაზეთს, შვილი კი შუაში ზის; დიდი, გაკვირვებული თვალით შესჭყურებს ხან ერთს, ხან მეორეს და ჩუმადა სჭამს. ბავშვს გადია ჰყავს და ახალგაზრდა გუვერნიორი. ხანდისხან დედა, გამოწყობილი ბაბთიან თბილ კაბაში და ოქრომკედის ქოშებში, მოწყალებას იღებს და შვილის მეცადინეობაზე დაესწრება ხოლმე. იმის აზრით ბავშვი მეტად ბევრსა სწავლობს და ხმა-დაბლა უხსნის მასწავლებელს იმის მიზეზს, რატომ არ არის საჭირო ბევრის სწავლა. ბავშვი ქვეშ-ქვეშ დასცქერის დედას. იშვიათად, როცა დედობრივი სიყვარული წამოუვლის, თავისთან მიჰყავს შვილი დილიდან სალამომდე. ბიჭუნა ჰხედავს, დედა როგორ ილებავს თვალებს, ხრილს (პუდრა) იყრის კისერზე, ხელებზე, ფრთხილად იპიაფერებს ლოყებს. ხანდისხან დედა ეხუმრება, ეთამაშება, ისიც ხითხითებს, ძალუმ სურნელებათაგან გალიზიანებული. სასეირნოდ წასასვლელად რომ ემზადება, დედა ბიჭუნას უწყრება—ცუდად, სასაცილოდ გაცვიაო. ნაზ დედის ვალით გატაცებული, ის ბავშვს წელზე ქალის ყელ-სახვევს უჭერს, უკეთებს ბაბთის არაჩვეულებრივ ყელსაბამს და ასე დაჰყავს ის რამდენიმე საათი ზედიზედ სიცივეზე, უპალტოოდ, ვიდრე სიცივისაგან პაწია ცხვირი არ დაუჭარხლებდა და მოწყენილობისაგან თვალზე ცრემლი არ მოადგებოდა. ის კი აქეთ-იქით თავს უკრავს ნაცნობებს, ბავშვს უჩვენებს, ჰკოცნის მას, ეკითხება—ყელის ჩასატკბანურებელი ან სათამაშო რამ ხომ არ გინდაო, თამაშობს კომედიას მოსიყვარულე დედისას. ბორჰეჩეს აგარაკში, შადრევანის ხეივანში ის აჩერებინებს ეტლს, ახალგაზრდა ყმაწვილებს ელაპარაკება, მოკლე კისკისით ეპასუხება იმათ სხვა და სხვა ცხელ-ცხელ, სახუმარო ამბებზე, იმ დროს, როცა ბავშვი ყურს უგდებს და სცდილობს გაიგოს რამე. ხშირად მიდის, ადის „მეგობარ ქალთან“ მაღლა, ბავშვს კი მთელი საათი სტოვებს ეტლში. საწყალ ბიჭუნიასა სწყინდება, ზის, თვალები ებლიტება, მეეტლე კი, რომელმაც ყველაფერი იცის, ბურტყუნებს უწმაწურ სიტყვებს. შემდეგ, მოხდება ხოლმე ისე, რომ დედას ბავშვის არსებობა სულ ავიწყდება, დაბნეული ჰკოცნის მას მხოლოდ დილ-დილაობით; როცა აიმრიზება, პინჭყლიანობს, ბრაზდება და უბრძანებს მოახლეს გაიყვანო'ს ბავშვი თუ ისა სტირის. ზოგიერთ დროს სასტუმრო ოთახში შესვლა ბიჭიკოს აკრძალული აქვს. „არ შეიძლებაო“, ეუბნება მას გადია და ილიმება. ხანდისხან დედა გამოეცხადება ხოლმე შვილს სამეჯლიშო ტანისამოსით გამოწყობილი. მაგრამ ბავშვი ამაოდ უშვერს ხელს. ის ახლოს არ იკარებს—კაბას გამისვრიო, არა ჰკოცნის, ისე მიდის, ეუბნება მხოლოდ—ჭკვიანად იყავიო. ჟამ და ჟამ დღესასწაულები გრიგალივით დაატყდება ხოლმე სახლს ზედი-ზედ. მრავალი ქალები, კაცები, ლაქიები ბუზივით ირევიან. მეჯლიშები, ყვავილები, კარებების ბრახუნი.. არა სადილობენ, არა სძინავთ. ამის შემდეგ დედა სავსებით ეძლევა დასვენება', არავის იღებს, პინჭყლიანობს. მამა მთელი დღეობით იკარგება სხვაგან, არა თუ ღამ-ღამეობით. წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ ცოლ-ქმარს ჩხუბი მოსდით. ბავშვი იქვე არის; ჰხედავს, როგორი ცხარე კინკლაობა იმართება მათ შორის, იგინებიან, ილანძღებიან ქუჩური სიტყვებით, ამტვრევენ ავეჯს. გულწასვლითა თავდება ეს დავი-დარაბა, მუქარით—უკანასკნელად გაგეყრებიო. ბავშვს კი ესმის დერეფანში, სამზარეულოში ყველაფერი, რასაც მოსამსახურენი იმის დედ-მამაზე ლაპარაკობენ.

ხანგანიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ბარონის ქუჩა. სტამბა „ნადეჟდა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.